**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 202 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 202

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



სამშაბათს, 7 სეკდემბერსს, ოფელ ნაჯიხევს, ზუგდიდის მაზრაში, დანიშნული ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**ვერა ნიკოლოზის ასულის ჟორჟლიანის**

სულის მოსახსენებლად. (1—6—1).


**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრიქონი, მეოთხეზედ—10 კაპ., მთელი გვერდი, ანუ დიდი განცხადება, ცალკე მორიგებით.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ჰღირს . . . 4 „ 75 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს:

პირველ სეკდემბრიდგან წლის დამლევამდე ქალაქში . . . . 2 „ 25 „

„ „ „ „ ქალაქ გარედ . . 2 „ 50

გაზ. „ივერიის“ **კანტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 საათამდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქციაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა).

**ქუთაისში:**—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში:**—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

**საგურამოში:**—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.

**განჯაში:**—სოფრომ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში:**—ანტონ კასრაძესთან.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція „Иверія“.


## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები. . . . . . . | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა . . . . . . | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა . . . . . | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა . . . | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი . . | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.

(40—24). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

კბილის ექიმი

## ალ. სოლოღაშვილი

## გადავიდა

გოლოვინის პროსპექტზედ, მდივანის სახლში, № 12, „კრუჟოკის“ გვერდზე.

ავადმყოფებს მიიღებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7-მდე. კვირაობით 9—10 საათამდე. (5—1).

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სკოლისათვის, კავკავში,

საჭიროა

## მასწავლებელი ქალი

ჯამაგირი ექმნება წლიურად 300 მან. (უბინაოდ). თუ მასწავლებელი იკისრებს ხელ-საქმე ასწავლოს მოსწავლე ქალებს, მიეცემა კიდევ ზედმეტად 60 მან. მსურველთ თხოვნა და საჭირო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში, (Тифлисъ, Общество грамотности). (3—3)

გამოვიდა ახალი

## კატალოგი

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

ქართულ თეატრის დამხმარებელ

## ამხანაგობის დამაარსებელნი

სთხოვენ ყველას, ვისაც ამხანაგობის წევრად ჩაწერის სურვილი აქვს, მიჰმართოს **თ-დ ზაქარია ელიზბარის-ძეს ერისთავს** (დრამატიულ საზოგადოების კომიტეტის კანცელარიაში) და **შიო ედიშერის ძეს დავითიშვილს** («ივერიის» რედაქციაში) დილის 10 საათიდგან 2 საათამდე.

5—უ—5.

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

## ქაჯანა

მოთხრობა ნიკ. ლომაურისა.

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

**საეურნეო სკოლაში**, დაარსებულს 4 სეკდემბრის 1883 წელსა, სოფელ წინამძღვრიანთ-კარში, ტფილისის გუბერნიის დუშეთის მაზრაში, დღეს პირველ სეკდემბერს გამოცდის შემდეგ, მიიღებენ მოსწავლეთ პირველ სპეციალურ კლასში; მოსწავლენი უნდა იყვნენ ჯანმრთელნი, 13-14 წლისანი, ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სპეციალური კლასები სამეურნეო სკოლისა, სწავლა და ვარჯიშობა სამი წელია: ორ წელიწადს მოსწავლენი შეისწავლიან სამეურნეო სწავლას თეორეთიკიულად და ვარჯიშობით, მესამე წელს მარტოდ-მარტო ვარჯიშობით სამეურნეო ცოდნის იმ დარგს, რომელსაც თვით მოსწავლენი ამოირჩევენ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (I Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 2—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. ა. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ, ხუთშ. შაბათ.

**გრ. მ. სოგოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. პეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროვატები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაყართოვებულია ოცი კროვატით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ი. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. მ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**მ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

**მ. ს. ელვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზნორბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოკტორი კ. გძელიშვილი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ერივანსკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს—67 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—დვორიანსკის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

რუსის ჯარის უკან დახევა.—მუკდენში.—ტელინი.—წვრილი ცნობები.—დიდ ოკეანეს მეორე ესკადრა.

გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის დეპეშა, 23 აგვისტოს გამოგზავნილი, ცხადად გვიხატავს ლიაოიანის ბრძოლის შედეგს. ჩვენი ლაშქარი 23 აგვისტოს გადარჩა იმ განსაცდელს, რომელსაც გენერალი კუროკი გვიმზადებდა, თუ რომ მუკდენის გზის გადაჭრა მოეხერხებინა. ვერ გაგვიგია, რითი ასაბუთებენ თავის აზრს ზოგიერთები, როდესაც დარბაისლურად გვარწმუნებენ, ვითომც ლიაოიანის დაცლა წინადვე შემუშავებულ გეგმის აღსრულება იყოვო. როგორიც უნდა იყოს ეს გეგმა, წარმოსადგენი არ არის, რომ განზრახ შეიძლებოდეს მთლად ჩვენის ლაშქრის განსაცდელში ჩაყენება. გენერალი კუროპატკინი 18 ივლისის მოხსენებაში იანძელინის ბრძოლის გამო (სადაც გრაფი კელლერი მოჰკლეს) იმედს იძლეოდა, რომ უმთავრესს ბანაკზე, ე. ი. ლიაოიანთან, ჩვენი ჯარი ადვილად გაუსწორდება მტერს, რიცხვით რომ მეტიც იყოსო. გასწორება ის ხომ არ არის, რომ განსაცდელში ჩააყენო ჯარი და მისი ხსნა მხოლოდ უკუ-ქცევით-ღა შეიძლებოდეს? უეჭველია, გენერალი კუროპატკინი დიდხანს ემზადებოდა ლიაოიანთან და იმედი ჰქონდა, რომ იქ მტერს დაამარცხებდა; მაგრამ იმედი გუცრუვდა.

23 აგვისტოს მთლად ჩვენი ლაშქარი ჩრდილოეთისკენ მიდიოდა და 24 აგვისტოს საღამომდე სადგურ იანტაის გასცილდა კიდეც. იაპონელები დაედევნენ ჩვენს უკანა რაზმს, ოქუს ლაშქარი—სამხრეთიდგან და კუროკისა—აღმოსავლეთიდგან, გვერდ-გვერდ ჩრდილოეთისკენვე მიმავალი.

სად. იანტაის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონელებისათვის. სადგურიდგან რკინის გზის შტო არის გაყვანილი ქვა-ნახშირის მადნამდე. მანჯურიის რკინის გზას სულ ორი მადანი ჰქონია, საიდგანაც რამდენიმე მილიონი ფუთი გამოჰქონდა ყოველ წელს,—ერთი იანტაისა და მეორე სადგურ ვაფანგოუსთან. ეს ორივე მადანი ეხლა იაპონელებს დარჩათ და გამოადგებათ კიდეც, რადგან რკინის გზას ადვილად აღადგენენ. ჩვენ კი რკინის გზის მატარებლები უნდა გადავაკეთოთ და შეშით ვახუროთ, ან ციმბირიდგან ვზიდოთ ქვანახშირი. სამწუხაროდ საუკეთესო ქვანახშირი სუჩანიდგან ურმებით უნდა ვზიდოთ 100 ვერსის მანძილზე, რადგან რკინის გზის გაყვანა მხოლოდ ამ ზაფხულს დაიწყეს.

24 აგვისტოს ჩვენის ლაშქრის უმეტესი ნაწილი მუკდენის ნახევარ გზას მაინც გაივლიდა, 25 აგვისტოს საღამომდე მდინარე ხუნ-ხენს მიადგებოდა და იმავ ღამეს რკინის ხიდით გადასვლას დაიწყებდა. საფიქრებელი არ არის, რომ გენერალი კუროპატკინი მუკდენში გაჩერდეს, თუმცა მანჯურიის დედა-ქალაქს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ლიაოიანთან ბევრად უკეთესი ადგილი ეჭირა ჩვენს ლაშქარს და სიმაგრეებიც ჰქონდა გაკეთებული; მუკდენი კი გაშლილი ადგილია და, რამდენადაც ვიცით, არც გამაგრებულია. ამიტომ გენერალი კუროპატკინი მუკდენისათვის თავის ლაშქარს არ გასწირავს და მეორედ მტერს აღარ გაუმკლავდება. გაზეთ «რუს»-ის სიტყვით, მუკდენის დაცლას შესდგომიან კიდეც, სურსათ-საქონელს ჩრდილოეთისკენ ეზიდებიან და მთავრობის დაწესებულებანიც გადაუტანიათ. ეს ცხადად ამტკიცებს, რომ მუკდენს ჩვენი ჯარი მიატოვებს და მტერს უბრძოლოდ დაუთმობს; იქ მხო-

ლოდ მცირე ხანს შეისვენებს და ჩრდილოეთისკენ გასწევს.

როგორც ეტყობა, ჩვენი ჯარი ტელინში შეჩერდება, სადაც, კარგა ხანია, ციხე-სიმაგრეებს აკეთებდნენ და საზამთროდ ჯარის სადგომ სახლებს აშენებდნენ. ტელინის მდებარეობაც უკეთესია, ვიდრე ლიაოიანისა. სამს მხარეს (აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთიდგან) ტელინი მთებით არის შემოზღუდული, რომელიც ვაკეს დაჰყურებს სამხრეთისკენ. დასავლეთისკენ მდინარე ლიაოჰაზე ჩაუდის, რომელზედაც მტერი ისე ადვილად ვერ გადავა, როგორც მდინარე ტაიძიხეზე. ამას გარდა, ტელინში დიდი საწყობებია ტყვია-წამლისა თუ სურსათისა. ესეც უნდა ვიცოდეთ, რომ იანტაიდგან ტელინამდე 116 ვერსია და ამოდენა მანძილს დიდი ლაშქარი სეკდემბრის ნახევრამდე ვერ გაივლის. ამ დროს კი გენერალ კუროპატკინს ახალი ჯარი მიემატება და მისი ლაშქარი იმ ზომამდე ავა, რომელიც, უმთავრეს შტაბის ანგარიშით, საკმარისია, რომ რუსის სარდალმა თავისუფლად იმოქმედოს და მოგერების გეგმა უკუ-აგდოს. მაინცა და მაინც, ჯერ არ ითქმის, ასრულდება ეს განზრახვა, თუ გენერალი კუროპატკინი თავის ლაშქარს ხარბინს დააბინავებს ამ ზამთარს.

ჯერ არ ვიცით, რას სჩადიან და რას აპირობენ იაპონელები, მიდიან თუ შეჩერდნენ. თუ რომ ისინი მდინარე ხუნხეს მალე მოადგნენ, სანამ ჩვენი ჯარი ხიდს არ გამოსცილებია, მაშინ იქაც დიდი ბრძოლა უნდა მოჰხდეს. გაზეთ «ნოვ. დნიას» დეპეშა მოუვიდა, ვითომც ნოძუს ლაშქარი გაჩქარებით მოდის ჩრდილოეთისკენ კუროკის ლაშქრის აღმოსავლეთად. ეს უკანასკნელი ფარდასავით აჰფარებია ნოძუს ლაშქარს, რომ არავინ მიუხვდეს განზრახვას, და ამასთანავე უკანიდგან აწუხებს ჩვენს ჯარს და აფერხებს კიდეც, რომ ნოძუმ წინ უსწროს. დაუჯერებელი აქ არა არის რა, რადგან ნოძუს ლაშქარი შედარებით უფრო შესვენებულია და ნაკლებადაც არის დაზიანებული, ვიდრე ოქუსა და კუროკის ლაშქრები. რასაკვირველია, მძიმე საქმის შესრულებას შესვენებულ ჯარს დაავალებდნენ. (რ. ვ.).

—

მუკდენიდგან ვას. ნემიროვიჩ-დანჩენკო იწერება:

ჯარმა მწყობრად და მშვიდად დაიწია. ზიანი არა მისცემია-რა. მრავალი დაჭრილი ჯარის კაცები მოიყვანეს, მაგრამ «წითელი ჯვრის» საერო სასანიტარო დასები და ექიმები ასწრობდნენ მოვლასა და დაბინავებას. მხოლოდ ორთვლიან ურმებით მოყვანა კი სწორედ წამებაა. სანოვაგე საკმაოდ და თავის დროს ეძლეოდათ. 17-დგან 22-მდე «წითელ ჯვარმა 12,300 დაჭრილი მიიღო. მერე კი ცოტა-ცოტა მოჰყავდათ. დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის.

მოუთმენლად ელიან გაოლიანის გაჭრას. მინდვრები ოკეანესა ჰგავს. მთელი კორპუსები ადვილად დაიმალება. ზოგ ადგილს ამ მცენარემ დიდად გვავნო. რა მოისაზრო, რა გეგმა უნდა შეადგინო, სულ მოულოდნელი შემოხვევა ჩაგიშლის. რა ჰქმნას სარდალმა!..

მე ბევრი არა მითქვამს-რა ჩვენის ერობის დაუღალავ და თავგამოდებულ მოქმედების შესახებ სისხლით მორწყულ ველზე. ვერ მიპოვნია სიტყვები, რომ ღირსეულად აღვნიშნო მე მისი ღვაწლი. რუსეთის ერობა სამუდამოდ დარჩება ხალხისათვის თავგანწირულების მაგალითად. მე კარგად გავიცანი ვლადიმერგიორგევის, კურლიანდიის, კურსკის კოსტრომის და იაროსლავის ერობისა და ქალაქ მოსკოვის ლასების მოქმედება. ყველანი,—ექიმი, სათნოების და თუ სანიტარი,—ერთმანეთს ეჯიბრებიან ძნელსა და საშიშ საქმეში. საუცხოვოდ აქეთ მოწყობილი საქმე. თავის მოვალეობას ყველა მტკიცედ ასრულებს, უფროსი, თუ უმცროსი. ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს და სცდილობს მეტიც გააკეთოს. ერობის ფული უთავბოლოდ არ იხარჯება. აქ სამოხელეო ფორმალიზმს ადგილი არა აქვს, ყველა მუშაობს სინიდისიერად და ერობისაგან დავალებულ საქმეს მთლად სწირავს გულს, გონებასა და ხელს. (რ. ს.)

—

ბერლინიდგან გაზეთს «რუსს» დეპეშით ატყობინებენ, გენერალ კუროპატკინის ლაშქარმა მუკდენისაკენ გზა გაიკვლიაო, თვით სარდალს იაპონელებმა, ორი ცხენი მოუკლესო.

—

მუკდენიდან იწერებიან, მუკდენიდგან ჩინელები მღელვარებით უგდებენ ყურს ზარბაზნების გრიალს; იაპონელები გვიახლოვდებიან, და ჩინელები უფრო მტრულად გვეპყრობიან. ზოგს ჩინელს კი იაპონელებისა ეშინიან და სახლობას ჩრდილოეთისკენ გზავნის. მუკდენში დიდი მოძრაობაა, სირბილი და ყიჟინია. მრავალი ჯარი და აფიცრობა მოვიდა, თან ეტლებიც მოსდევს. სადგურის ბუფეტში სკამი და ერთი ჯამი წვენი რომ მოითხოვო, 2—3 საათი უნდა უცადოს და ბიჭი უხვად დააჩუქრო. მუკდენიდგან ევროპიელები ხარბინს მიდიან. აქ ყოველ საათს მოელიან, რომ მუკდენსა შახეს შუა ბრძოლა ასტყდება. (რუს.).

—

გენერალ-ადიუტანტი ალექსეევი მუკდენიდგან ხარბინს გადასახლდა. ამბობდენ, ჩინეთის გუბერნატორმა განცხადება გამოსცა და ქალაქის ყველა შესავალთან გააკვრევინა, რომლითაც მკვიდრ მცხოვრებლებს ავალებს, იაპონელებს მშვიდად და მეგობრულად დაუხვდითო.

რუსის ჯარი ტელინთან დაბანაკდება, სადაც წარსულს ზამთარსვე სიმაგრეებს აკეთებდენ. ესე კი უნდა ითქვას, რომ, როცა გასამაგრებელ ადგილს აირჩევენ, ჰგონიათ, უკეთესი აღარ შეიძლებაო, და, როცა გამაგრებას მორჩებიან, მაშინ მიხვდებიან, რომ სუსტი მხარეცა ჰქონია. ამიტომ შესაძლოა ჯარი ხარბინამდე დაბრუნდეს, სადაც ამ ჟამად ახლად ჩამოსული კორპუსია შეჩერებული. (რ. ვ.).

—

«რეიტერის სააგენტო» იუწყება, კუროპატკი თავის ლაშქრით ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიდის, რომ რუსის კორპუსს დაუხვდეს. ირწმუნებიან, რამდენიმე საათიც არ გავა, რომ იაპონელები მუკდენს დაიჭერენო. რუსის უკანა რაზმი იაპონელებს ებრძვის. (რ. ვ.).

—

იგივე „სააგენტო“ იუწყება, ყოველ დღე მუკდენზე 80 ვაგონი მიდის ჩრდილოეთისაკენ, დაჭრილებით სავსე. ყუმბარების ნამტვრევებით დაჭრილები საშინელ მდგომარეობაში არიან. მომეტებული ნაწილი გოსპიტალამდე ცოცხალი ვერ მიუყვანიათ. (რ. ვ.).

—

26 ავგისტოს ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა სამხედრო გემები კრონშტადტის ნავთსადგურში. იქ იყო: საესკადრო ჯავშნოსანი «თავადი სუვოროვი» (რომელზედაც დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის კონტრ-ად არალ როჟდესტვენსკის ბაირაღი იყო ამართული), ჯავშნოსნები: «ბოროდინო», «იმპერატორი ალექსანდრე III,» პირველ ხარისხის კრეისერები: «სვეტლანა», «ავრორა», «დიმიტრი დონსკოი», მეორე ხარისხის კრეისერი «ალმაზ», ჯავშნოსანი «ნავარინი», კრეისერი «ადმირალ ნახიმოვ» და ჯავშნოსნები: «სისოი დიდი» და «ოსლიაბა».

დილის 8 საათზე პეტერბურგიდგან წავიდა კრონშტადტს უავგუსტოესს გენერალ ადმირალის გემი «სტრელა», რომელზედაც იყო დიდი მთავარი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ზღვათა მინისტრი გენერალ-ადიუტანტი აველანი და ამალა.

9 საათსა და 15 წუთზე პეტერბურგის ნავთსადგურიდგან წავიდა კრონშტადტს საიმპერატორო გემი «ალექსანდრია», საიმპერატორო ბაირაღით. გემზე ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავრები მიხეილ ალექსანდრეს ძე, ალექსანდრე მიხეილის ძე და კირილ ვლადიმერის ძე, თან ამალა ახლდათ.

ხელმწიფე იმპერატორმა გემები დაათვალიერა, «ალექსანდრიაზე» საუზმე მიირთვა და უკან დაბრუნება ინება. ამ დროს «ალექსანდრიაზე» ნიშანი ამართეს, ხელმწიფე იმპერატორი ყველას მადლობას გიძლვნითო.

4 საათსა და 45 წუთზე «ალექსანდრია» კრონშტადტიდგან პეტერბურგისკენ წავიდა. (რ. ს.).

## ტფილისი

—

გუშინ, 31 აგვისტოს, დაასაფლავეს უდროოდ გარდაცვალებული ტფილისის კომენდანტი, გენერალ ლეიტენანტი ი. ნ. რეიტერი. განსვენებული თავის სადგომიდგან დილის 8 საათზედ მიასვენეს ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში, სადაც გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ თავად-აზნაურნი, გენერალიტეტი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი, ქალაქის თავის მოადგილე თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, ტფილისის მოქალაქეთა საზოგადოება, ხელოსანთა ყველა ამქარი სამგლოვიარო ბაირაღებით და ტფილისის გარნიზონი. ალექსანდრე-ნეველის ტაძრიდგან მიცვალებულის გვამი დილის 11 საათზედ წაასვენეს ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკკლესიის გალავანში, სადაც მიწას მიაბარეს,

*** 28 ივლისს კოჯრიდგან ტფილისს დაბრუნდა კავკასიის მთავარ მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი ინფანტერიის გენერალი ა. ა. ფრეზე. კოჯრიდგანვე საზამთროდ გადმოვიდა აგრეთვე მთავარ-მართებლისა და კავკასიის სამხედრო შტაბის კანცელარიები.

*** დღეიდან სწავლა დაიწყება ტფილისის ყველა საშუალო, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა, სასწავლებლებში.

*** სამხედრო უწყების მიმართ გამოცემულ ბრძანებით, ტფილისის კომენდანტის თანამდებობის აღმასრულებლად, ახლად გარდაცვალებულ გენ. რეიტერის მაგიერ, დაინიშნა პოლკოვნიკი ვ. ლ. ტემნიკოვი.

*** ამ წლის 1-ლ სეკდემბრიდგან საკომერციო სასწავლებლის ყველა კლასებში შემოღებულ იქმნება ინგლისურ ენის სწავლება.

*** «ქ. შ. წ.-კ. გამგეობამ კავკავის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ბ-ნი კობიაშვილი, ხოლო ბორჩალოს მაზრის სოფ. კალაშიას მასწავლებლად—ბ-ნი წილოსანი.

*** 29 აგვისტოს მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ფრეზე ბორჯომს გაემგზავრა, საიდგანაც გუშინ, 31 აგვისტოს, უკვე დაბრუნებულა ტფილისს.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მამა თამარაშვილს დაუწყია ვრცელის თხზულების წერა ფრანგულად, რომელსაც სათაურად ექმნება „Histoire religieuse ანუ ecclésiastique be la Géorgie“ და დასურათებული იქმნება საქართველოს საეკკლესიო ხუროთ მოძღვრების შესანიშნავის მონუმენტაჟებისა და წმიდანების სურათებით.

*** ჩვენ გვატყობინებენ, პატრს ალექსანდრე ბაუნგარტნერს ეხლახან ახალი წ-გნი გამოუცია გერმანულს ენაზე, სახელად «მსოფლიო ლიტერატურა», რომელშიაც «ვეფხის ტყაოსნის» რამდენიმე ხანაც ალუბეჭდია ქართულადა და გერმანულად.

*** ტფ. ოლქის სასამართლოსთან არსებული ნაფიც მსაჯულთა და მათ თანაშემწეთა კონსულტაცია ორშაბათიდან, 5 სეკდემბერიდან ღია იქნება ყოველ დღე.

*** ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ტფ. მოქალაქეთა საზოგადოების გამგეობის დადგენილება ტფ. მოქალაქეთა ხარჯით „ალექსის“ სახელობის სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** დღეს, 1-ლ სეკდემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფ გუბერნატორის კანცელარიაში კრება ექმნება ტყის მცველ კომიტეტს, ეს კრება დანიშნული იყო 9 აგვისტოსთვის. მაგრამ, წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა.

*** კავკავიდგან «ბაკ. იზვ.»-ს სწერენ: გაზეთ «ყაზბეკის» სტამბის ასოთ-ამწყობთ მიჰმართეს საჩივრით კავკავის სტამბათა ინსპექტორს, თერგის ოლქის უფროსთან გამწესებულს საგანგებო მინდობილებათა მოხელეს თავ. მაყაშვილს; ასოთ-ამწყობნი უჩივიან გაზ. «ყაზბეკის» გამომცემელს ს. ი. ყაზაროვს, თავის დროზედ არ გვაძლევს ჯამაგირებს და გვიშველეთ რამეო.

*** ტფილისის მცხოვრებს ნიკოლოზ საჩკოვს ნება მიეცა გაჰმართოს საკომერციო აზრით ორთქლის აბანო თავის საკუთარ სახლში, გოგოლის ქუჩაზედ, მე-10 საპ. ნაწილში.

*** როგორც იყო, ეშველა და კვირას, 29 აგვისტოს, შესდგა კრება ტფილისის დურგალთა ამხანაგობისა. ამხანაგობამ მთელი კრება მოანდომა ერთის საგნის განხილვას. წარსულ კრებაზე გამგეობას დაავალეს ამხანაგობის ხარჯის შემცირება, რადგან ამ ბოლოს დროს შემოსავალმა იკლო. გამგეობამ კრებას აცნობა, რომ შეიძლება ხარჯის შემცირება მხოლოდ 60 მანეთით, თუ ჩვენ მაღაზიაში მოსწავლეთა და „აბოიშჩიკის“ ადგილს გავაუქმებთო. კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება «აბოიშჩიკის» თანამდებობის გაუქმების შესახებ. კრება პირობით შეეკრა წევრს რუსიშვილს, რომელმაც სიით უნდა ჩაიბაროს ამხანაგობის მაღაზია და მიიღოს ხოლმე შეკვეთილი საქმეები. რუსიშვილს სასყიდელი არ მიეცემა, რადგან იგი მუქთად ისარგებლებს ამხანაგობის მაღაზიით და თავის ვაჭრობასაც მოაწყობს. კრებამ გამგეობის ერთის წევრის არჩევანი და ნახევარ წლის ანგარიშის განხილვა 5 სეკდემბრისთვის გადასდო.

*** გაზ. ,,ცნ. ფურ.“-ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: სოფ. ,,პატარძეულში, ყოფილა თურმე მკითხავი ქალი ნარიმანაშვილის ქვრივი, რომელიც დიდ ძალს ფულს იღებს მკითხაობით. ასე გასინჯეთ, ამ მკითხავს ნიხრიც კი დაუწესებია: შეძლებულთ ახდევინებს 1 მან. 50 კაპ., საშუალო შეძლების პატრონს—1 მან. და ღარიბთ—50 კაპ.; საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს ბ-ნს რ. დ. მაკავარიანს. რომელმაც ამ დღეებში დაათვალიერა ტფილისის მაზრის ზოგიერთი სოფლები, ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და უცნობებია ყოველივე ადგილობრივ პოლიციისათვის, რომელსაც ოქმი შეუდგენია და გადაუცია, სადაც ჯერ არს, მკითხავის პასუხის გებაში მისაცემად.

## ფელეტონი

—

* *
*

თუ ყოველთვის პირუტყვლად
სხვისთვის დალევ ტანჯულ სულსა
და არროდეს არ განიცდი
შვებასა და სიხარულსა,—
რაღადა ხარ გაჩენილი,
მხოლოდ მად, რომ ცრემლი ჰღვარო?!..
ფუ შენს ყოფას, შენს ცხოვრებას,
შე ჯაბანო, შე ლაჩარო!...

—

გონება ხომ შენთან არის,
მოიფიქრე: რაებს სჩადი?...
სულ მთის ძირას რას დაცოცავ,
დაჰკა ფეხი, მაღლა ადი!
ნუ თუ არ გსურს, ერთხელ მაინც
ინეტარო, გაიხარო?!
ფუ შენს ყოფას, შენს ცხოვრებას,
შე ჯაბანო, შე ლაჩარო!...

ბ. ახოსპირელი.

—

მასალა ისტორიისათვის.

### ვასილ ბებუთოვის მოწერილის კოპიო *).

(ვუძღვნი ბ-ნ მოსე ჯანაშვილს).

«რადგან აღვითქვით აქაურის ცერემონიის მოწერა, ამისათვის საჭიროდ ვრაცხ, რომ მოგწერო მოსვლა ფათალი შაჰისა სულთანიას დიდის თანთანებით: ეს მოსვლა იყო ივლისის ით დღესა.

რადგან მაშინ ჩვენ ისევ ლაგირად ვიდექით სამანარხზედ და ჯერ სულთანიას არ მოსულიყავით, ამისათვის, როდესაც შევიტყევით, რომ ფათალი შაჰი სულთანიას მოვა ივლისის ით დღესა, დილაზე ადრიან ცხენებზე შევსხედით რამდენიმე აფიცრები და საჩქაროდ მოვედით სულთანიას, სადაც ურიცხვი სიმრავლე ყიზილბაშებისა შეკრებულიყო და ემურებოდნენ კარვების დადგმას.

მოვედით სასახლესთან, ვნახეთ რომ ამათი რეგული ჯარი, რომელსაც ჯანბაზად უწოდენ, დგას სასახლიდგან თეჭრანის გზაზედ, თითქმის ერთს ალაჯს, ორ პირად, მაგრამ შუაში აქვსთ ქუჩა გაშვებული შაჰის მოსასვლელად. რადგან ხალხი მრავალი იყო და ყველანი ცდილობდნენ, რომ შაჰი ნახონ, ამისათვის ჩვენ გამოვირჩიეთ ერთი პატარა გორა, რომელიც იქვე ახლოს იყო, ავედით და დაუწყეთ ჰვრეტა.

პირველად მოდიოდნენ მრავალნი აქლემნი და ჯორები, აკიდებულნი ბარგით და კარვებით სხვა-და-სხვა ხანებისა და ვეზირებისა. შემდგომად ამისა მოდიოდნენ მარჯვნივ და მარცხნივ მრავალნი ცხენოსანნი. უეცრად მარჯვენა მხარეს გამოჩნდა ერთი დიდი გუნდი, რომლისა მტვერი ზეცაში ადიოდა. ყიზილბაშებმა გვითხრეს, შაჰი ახლოს არისო. ამ გუნდის წინ მოდიოდა ერთი დიდი სპილო, რომელზედაც წითელი მაუდით გადაფარებული შაჰის დასაჯდომი ალაგი იყო გაკეთებული, მაგრამ არ იჯდა იქ. ამას მოსდევდნენ ხუთასამდინ აქლემნი, ზამბურაკ აკიდებულნი და ფალნებზედ წითელ მაუდ გადაფარებულნი და უკან ორ-ორი წვრილი ბაირაღის მქონებელნი. ყოველს აქლემზედ იჯდა ერთი კაცი. ესენი მოდიოდნენ წყნარად, შემდგომად რავდენიმე ყათარი ჯორი ძალიან მძიმედ აკიდებულნი მოდიოდა. ეს იყო ხაზინა. ამათ შემდგომ მოდიოდა ერთი დასტა აქლემი, რიცხვით ორასამდინ, რომელსა ზედა ისხდნენ წითელის მაუდის მუნდირებით ყიზილბაშნი. ამათ ჰქონდათ აქლემზედ სხვა-და-სხვა საკრავნი გამართულნი და უკრავდნენ შაჰის შესაქცევად. ეს იყო ნაღარახანა შაჰისა. საკრავნი იყვნენ დინპლიპიტო, ზურნა, დიდრონი დოლები მრავალნი. ამათ სულ ერთიანად უკრავდნენ. როდესაც ესენი ამ გვარად მოდიოდნენ, შუაში გამოჩნდნენ რავდენიმე მარქაფები შაჰისა. ამათ უკან მოსდევდნენ ორმოცი შათირი, ოცი მარცხნივ და ოცი მარჯვნივ. მარცხენის მხრის შათირებს ეცვათ სოსანი განდიდურის კაბები და ეხურათ სოსანი ქუდები ფიფინოებით ასხმული. მარჯვენის მხრის შათირებს ეცვათ წითელი განდიდურის კაბები და ეხურათ წითელი ქუდები ფიფინოებითვე ასხმული. ამათ ქუდები არის ძალიან მასხარული; ამ შათირებს შუაზე მოდიოდა თითონ შაჰი. ლურჯს ცხენზედ იჯდა, რომლისაც მკერდი და მუცელი უკან გაზებამდინ ინით შეღებილი იყო. ეგრეთვე კოდი (?) შორის ახლოს მოსდევდა ალლაიარხანი, სიძე შაჰისა, და ეშიკაღასბაში. ამის შემდგომ მოსდევდა შორს მირზა შეფი და მამად-ალი-მარზა, უფროსი შვილი შაჰისა. მარჯვნივ და მარცხნივ მოსდევდნენ ცხენოსანნი ყიზილბაშნი და ქურთნი, უცხოთ ჩაცმულნი. ქირმან შაჰის ჯარი უკეთესი არის სპარსულზედ. ამათ კარგი ცხენებიცა ჰყავთ და უცხოთაც სხედან. ამაობაში შაჰი რომ მობრძანდებოდა წყნარათ, ერთიც ვნახოთ, იმის წინ წამოაქციეს ერთი აქლემი და საბრალობელი დაკლეს. თავი მოართვეს შაჰსა. მე ვიკითხე, ეს რას ნიშნავს მეთქი და მიპასუხეს ეს ყურბანი არის, ესე იგი შაჰის ჭირის სანაცვლო. ამ გვარად მოვიდა შაჰი სულთანიას სასახლეში. როდესაც ცხენიდგან გარდახდა ერთმან ფარეშთაგანმან საზარელის ხმით დაიძახა—იალლა. მაშინვე გაცვივდნენ ზანბურაკები. ეს ნიშნავდა შაჰის ცხენიდგან გარდმოხდომასა. ჰარამხანა მოვიდა ღამით და შვიდასის ცოლებისაგან ორმოცდა ათის მეტი არ მოუყვანია.

მოსვლა მისის იმპერატორებითის დიდებულებას ჟენის ალექსეი პეტროვიჩ ერმოლოვისა სამანარხით სულთანიას ივლისის კვ. დღესა.

როდესაც ჩვენი ლაგირი მოამზადეს სულთანიაში, მაშინვე შაჰის ებრძანებინა თავის ეშიკაღასბაშისა თვით მაჰმუდ ხანისათვის, წადი და ელჩი მოიწვიეო. ხსენებული ხანი 26 ივლისისას მოვიდა სამანარხის და ელჩი შაჰის სახელდობ მიიწვია. ჩვენც მომზადებული ვიყავით, სულ ერთიანად ცხენებს შევსხედით და წავედით რიგზედ. პირველათ ყახახები, შემდგომად მარშალი თავისის პომოშნიკებით, მერმე მუზიკანთები, ამათ უკან ლირნადირები. შემდგომად სვიტის აფიცრები წყვილ-წყვილად. მერმე ფელთიეგერები. შემდგომად ელჩი და სოვეტნიკები სეკრეტრითურთ.

სამს ვერსზედ რომ დაუახლოვდით სულთანიას, მოეგება ელჩსა ქურდისტანის ვალი ოთხი ათასის ცხენოსნით; ერთმა-

*) ამ რამდენისამე წლის წინად, მე შევიძინე ერთი ქართული ძველი დაბადება **), მეფის ვახტანგის ძის ბაქარის ბრძანებით დაბეჭდილი მოსკოვში 1742 წ. ინგლისურის მშვენიერის ძველისა და ახალის აღთქმის სურათებით, რომელსაც თავში შემდეგი მშვენიერი ხელთწერი უძღვის: „ეს სურათები ანგლიურს დაბადებაში იყო ჩატანებული და აღმოვაღებინე იქიდამ და ამ ქართულს დაბადებაში ჩავატანებინე, ამისათვის, რომელ, იქნება ჟამზედ დაბეჭდა რომ მოხდეს დაბადებისა, ამ გვარად სურათებიც ჩაატანონ და დაბეჭდონ. ხატები ძველისა და ახლის სჯულისა ორივ არის და იგავები. მეფის ძე იოანე. წელსა ჩყი სანკტპეტერბურღსა შინა. ამ დაბადების ბოლო ყდის ფურცელში იყო ჩადებული ამ ხელთ-ნაწერის კოპიო ვასილ ბებუთოვისა, რომელიც მინდა მკითხველს განუზიარო.

** იხ. ჩვენი ფელეტონი «ივერიის» მე-205 №-ში—1900 წ.

*** რედაქციას მოუვიდა შემდეგი ახალი ქართული წიგნები: 1) «პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას», ისტორიული გამოკვლევა, თხზ. მღვდლის მიქელ თამარაშვილისა. წიგნი შეიცავს 264 გვერდს, ძლიერ ფაქიზად არის გამოცემული და ჰღირს, შედარებით, ძლიერ იაფად—ათ შაურად; 2) «დანიელ ჭონქაძე და მისი დროი თხზულება» ფ. მახარაძისა. ეს წიგნიც სუფთადაა გამოცემული, შეიცავს 126 გვერდს და ჰღირს ორ აბაზად.

# საქართველოს ამბები

მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი ს. ი. ვიტტე უკვე ჩამოვიდა სოჭაში (შავის ზღვის პირის გუბერნია).

27 აგვისტოს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ქუთაისის მაზრის სოფ. სალხინოს მცხოვრების ვ. ლორთქიფანიძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა საქციზო მოხელის ნ. ნ. გოროდენსკისა მოკვლა და მის თანამსახურის ვიშინსკის მოკვლის განზრახვა იმ დროს, როცა ესენი თავიანთ თანამდებობას ასრულებდნენ. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ვ. ლორთქიფანიძე და გადაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და 2 წლითა და 8 თვით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. ქ-ნ გოროდენსკის სამოქალაქო საჩივარი მისდა სასარგებლოდ 3,000 მან. მისაჯის შესახებ სასამართლომ უკლებლივ დააკმაყოფილა.

გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ს შემდეგ ამბავს ატყობინებენ: „ამას წინად ლეჩხუმის მაზრის სოფ. მაზერში სანადიროდ წავიდა ახალგაზდა კაცი ა. ჩარკვიანი, რომელიც ჩავარდა უზარმაზარ საყინულის ნაპრალებში და დაიღუპა. საბრალო ჩარკვიანს მთელი სვანეთი პატივსა სცემდა. გაიგო თუ არა ეს ამბავი მისმა ცოლმა, ვეღარ გაუძლო დარდს და ერთს მშვენიერს დღეს მოჰხვია ხელი თავისს შვილებს, მიუალერსა მათ, დაჰკოცნა ყველანი, მერე აიღო განსვენებულ ქმრის რევოლვერი იკრა ყელში და თავი მოიკლა“.

ახალქალაქის მაზრაში, როგორც გვატყობინებენ, სოფ. ყაზახში, საქონელს თურქული გასჩენია.

# ნარკვევი

(ქურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ს.-პეტ. ვედ“-ში დაბეჭდილია პატარა წერილი Ом-ისა სათაურით: ქართველთა შესახებ—О грузинахъ. პატივცემული ავტორი სწერს, რომ რუსეთის ყოველდღიური დიდი გაზეთები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ არა-რუსთა ცხოვრებასა და მხოლოდ მაშინ დაიწყებენ წერასა და ლაპარაკს არა რუსთა შესახებ, როცა მათ შორის რაიმე ბოროტმოქმედება იჩენს ხოლმე თავსაო. თუ ან მოჰკლეს ვინმე, ან გაძარცვეს, მაშინ აღარა სდუმან და, თითქო კიდევაც უხარიანთ, რომ ამა თუ იმ ბოროტ-მოქმედებაში გარეულნი არიან არა-რუსნი. არა-რუსთა კულტურულ ცხოვრების ფაქტებს-კი უყურადღებოდ სტოვებენ, თითქო განგებ გვერდს უქცევენ.

ეს გარემოება,—განაგრძობს ავტორი,—მით უფრო სამწუხაროა, რომ არა-რუსთა ინტელიგენცია დიდის ყურადღებით, გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყოველსავე, რაც-კი რუსეთის მწერლობაში იბეჭდება თასში ერთხელ იმათის ერის თაობაზედ. არა რუსთა ინტელიგენციას სწყურიან, რომ რუსთა მწერლობამ სწორედ გააშუქოს იმათი მშობლიური ცხოვრება, სწორედ შეიგნოს მისი მიმდინარეობა, გული გაუკეთოს, ხელმძღვანელობა გაუწიოს იმ მუშაობაში, რომელსაც ადგია თავის ერის საკეთილ-დღეოდ. რუსეთის მწერლობა კი, თითქო მუნჯი სფინქსიაო, უცნაურად სდუმს.

ავტორი ამტკიცებს, რომ ასე ექცევა რუსთა მწერლობა ქართველებსაც და ეს გარემოება ძალიანა სწყინს ამ ხალხსაო.

ყველა არა-რუსთა შორის, რომელნიც კი რუსეთის იმპერიაში სცხოვრობენ, როგორც ცნობილია, ქართველები არიან ყველაზედ მეტად კულტურათ მოსილნი. ამ ერს აქვს თვისი მტკიცედ შემუშავებული ისტორიული ანდერძ-აღთქმანი, თვისი ფართოდ განვითარებული საზოგადოებრივი ცხოვრება. ხალხის საპრავლესთან შედარებით, ქართველებს უფრო ბლომადა ჰყავთ ინტელიგენცია, ვიდრე სხვა რომელსამე არა-რუსთა ერს და თვით რუსთაც კი. უფრო მეტიც ეყოლებოდა, რომ დიდი სურვილი და მისწრაფება ქართველთა ერისა განათლებისადმი კმაყოფილდებოდეს.

ბოლოს ავტორი აქებს საქართველოს ბუნებას, რომელსაც ასე შეჰხარებია თვით ქართველიცა და რომლის მეოხებითაც ქართველი აღტაცებულის ხასიათისაა და ძლიერი კეთილშობილური აღფრთოვანება სულისა მისი ნიშნობლივი თვისებააო. ავტორს მოჰყავს დასამტკიცებელი მაგალითი, რომ თავად-აზნაურთა ყმაწვილ-კაცობამ, საშრომელ ამხანაგობად შემდგარმა, მოინდომა ქვრივ-ობოლთა ქირნახულის მოვლა-პატრონობა.

დასასრულ ბ-ნი Ом-ი ამბობს:

საზოგადოდ ქართველთა ცხოვრება სავსეა ცხოველის ინტერესით და მხოლოდ ის არის დიდად სამწუხარო, რომ ამ ერის თავისებური და ორიგინალური ცხოვრება მეტად არა სასურველ ვითარებასა და გარემოებაში მიმდინარეობს.

კეთილი სიტყვაც კარგია ამ ჩვენს უკუღმართს დროში!

—

ინგლისელი ხელსი დიდხანს ყოფილა შორეულ-აღმოსავლეთში, ყოველივე უნახავს იქა, ყოველივე დაუთვალიერებია, ყოველივე გამოუწვლილებია და ახლა ამტკიცებს გაზ. „დეილი ნიუსში“, დიდი შეცდომაა, რომ ინგლისელები იაპონიას ხელს აფარებენ და მფარველობენო.

ინგლისელნიო,—ამბობს ხელსი,—სანტიმენტალურს გრძნობას არ უნდა აჰყვნენ, არამედ პრაქტიკულ მოსაზრებას უნდა ჩაუკვირდნენ. ინგლისისათვის სრულიად სასარგებლო არ არის, თანაუგრძნოს ამ ომში იაპონიას, იმიტომ, რომ იაპონია ნორჩი, ნიჭიერი ქვეყანაა და მალე საომში მეტოქე შეიქმნება ჩვენი მრეწველობაში. უფრო სახეიროა თანაუგრძნოთ რუსეთს, რადგან რუსეთი, როგორც უკან ჩამორჩენილი ქვეყანა, არამც თუ მეტოქედ ვერ გაგვიხდება, არამედ, პირ-აქით, თავის უკან ჩამორჩენილობით და სიდიდით საუკეთესო ბაზარია ჩვენის საქონლის გასასაღებლად... აქამდე იაპონელები ჩვენი შეგირდები იყვნენ, მაგრამ ომის შემდეგ, შესაძლოა, მასწავლებლებად გადაიქცნენ მთელის აღმოსავლეთისათვის. ინდოეთი ბრმებით არ არის დასახლებული. მოლოდინით თვალნი მიპყრობილია ახლა იაპონიისაკენ და ყურს უგდებენ, რას აკეთებს საოცრად პატარა კუნძულებზედ დასახლებული ერი. რუსეთი-კი ვერ შეუშვა ინდოეთში და ეს იაპონია-კი სახელს უტეხავს ევროპიელებს. იაპონია საშიშია აღმოსავლეთში არა მარტო თავის ფლოტითა და მხედრობით, არამედ სავაჭრო გემებითაც, რომელთა რიცხვიც ერთი-ორად გამრავლდება ომის შემდეგ. მერე ყოველივე დარგი მრეწველობისა ეხერხებათ, ყოველივე იციან ამ ხელობისა. არ არის ისეთი სამრეწველო საიდუმლო ამერიკასა და ინგლისში, რომ იმათ არ იცოდნენ. მთელს ვაჭრობას ხელში ჩაიგდებენ აღმოსავლეთად და ჩვენ-კი გარიყულნი დავრჩებით.

ინგლისს არავითარი საბუთი არა აქვს ეშინოდეს რუსეთისა. ინდოეთი არ მოინდომებს, რომ ერთი ბატონი მეორეზედ გასცვალოს. ინდოელებმა კარგად იციან, რომ ევროპიელნი ისე გვიყურებენ, როგორც ბატონები ყმას, როგორც დამპყრობელნი დაპყრობილებსაო. იაპონიას-კი ისე შეჰხარის ინდოეთი, როგორც აღმოსავლეთის მფარველებს, როგორც დამხსნელებს ხანგრძლივ მონობისა და დამცირებისაგან. ინდოეთისათვის ინგლისელნი ან რუსნი—სულ ერთია, ორივენი აღმოსავლეთის დამპყრობელნი არიან. სამწუხაროა, რომ აქაური მწერლობა აქებს და ადიდებს ახლა არა ნელსონსა, არამედ ტოგოს. მისთვის ამ ჟამად გმირი და გმირთა-გმირია არა კიტჩენერი, არამედ კუროკი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

30 აგვისტო.

**სეული**, 29 აგვისტო (რეიტერი). რკინის გზის გამართვას სეულიდან ფუზანამდე, რომელიც იაპონელებს გაჰყავთ, კარგად მიდის. ამ ჟამად მატარებლები დაიარებიან იონგტონპოდან, სეულს ახლო, ჩხენჩხენამდე მალე პონგანამდე იქნება გზა, სეულიდან ას მილზე.—იუწყებიან, 4 ათასი რუსი, რომელნიც ხამხინს არიან, ცდილობენ სეულისაკენ გასვლასა.

**ჩიფუ**, 29 აგვისტო. (რეიტერი). როგორც სარწმუნო წყაროდან ამბობენ, მთავარი იერიში იაპონელთა ამ ახლო ხანს მიმართული იქმნება ერლუნშანისა და დზიგუშანის ფორტების წინააღმდეგ. სერები, რომელზედაც ეს ფორტებია, იაპონელებს უჭირავთ, ისინი ცხოვრობენ კარავებში. საჭმელს ღამით უზიდვენ. იაპონელთა სანგრები რუსების სანგრებთან ახლოა გაკეთებული. რუსები ანგრევენ ყუმბარებით უსწორ-მასწორო ადგილებსა, რომელიც იაპონელებს ჰფარავენ. იერიში ერთი უსაშინელთაგანი იქმნება. იაპონელნი ყველა ნაირის ღონეს ღონობენ ამისათვის. ამ ადგილას ორი დივიზიაა ოშიმასა და ოუშიმას უფროსობითა. სულ 80 ათასი კაცია იაპონელებისა; რუსები უბრალო თოფის-წამლით ისვრიან, რომელსაც პორტ-არტურშივე ამზადებენ. ეს წამალი აგებინებს, თუ სად არის იმათი ბატარეები. აფეთქების დროს ბევრად სუსტი ძალა აქვს, ვინემ უკვამლო წამალსა. იაპონელებს იტშანზე იერიშის მიტანის განზრახვა არა აქვთ, ადრევ ძვირად დაუჯდით იმისი იერიში, მხოლოდ ყუმბარებს დაუშენენ იმას ნავსადგურ ლუიზიდან და შუშიანიდან, რომ იტშანიდან იერიშის მიმტანს ჯარს წინააღმდობა არ გაუწიონ.—არგენტინის პოლკოვნიკი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა იაპონელთა მოქმედებასა, ამბობს, რუსებს საგერი ადგილები კარგად აქვთ ნამუშავარიო. თუ იაპონელები აიღებენ ერლუშანს და ცზიცუმანს, მაშინ ისინი ქალაქს ზემოდან მოექცევიან, საიდანაც სჩანს რკინის გზა, ქალაქს მიმავალი. 18 აგვისტოდან პორტ-არტურთან ბრძოლა არ ყოფილა. იაპონელები ყოველ დღე დილით ქალაქს ყუმბარებს ესვრიან. რუსები შუადღის უკან ესვრიან, როდესაც მზე ხელს შეუწყობს ხოლმე. იაპონელებს ამ ხუთს კვირაში 20 ათასი კაცი დააკლდათ. იმ იაპონელმა, რომელმაც ეს გადმოგვცა სთქვა, ამ ამბების გამოცხადება საქმეს არას დაუშლის, რადგანაც იაპონელთა მზადებას თვით რუსები ხედავენო.

**შანჰაი**, 29 აგვისტო. (რეიტერი). კრეისერი «ასკოლდი», რომელიც ახლად შეაკეთეს, გუშინ უიარაღოდ დადგა ზემო ბასეინში. მეზღვაურთა შესახებ ჯერ არა გადაუწყვიტიათ-რა. სამი პროექტია: 1) მეზღვაურნი დაგზავნონ უმთავრეს ნავსადგურებში, ეს გადაწყვეტილება ჯერ მიიღეს და შემდეგ კი უარჰყვეს; 2) დააყენონ ისინი ჩინეთის ციხეებში ცზიანიანსა და იანძეში; 3) ნება მისცენ თავიანთ გემებზე დარჩენისა უიარაღოდ, იაპონიის მთავრობამ მესამე წინადადება მიიღო.

**ტოკიო**, 29 აგვისტო. (რეიტერი). სამხედრო სპეციალისტები სწორედ გაკვირვებულნი არიან, რომ კუროპატკინმა გასაოცარი ოსტატობა გამოიჩინა ლიაოიანიდან ლაშქრის წაყვანითაო. რამდენადაც ირკვევა ის გარემოებანი, რა გარემოებაშიაც უკან დაიხია რუსის ლაშქარმა, იმდენად ცხადად სჩანს, რომ ეს ხერხი იქმნება ერთი საუკეთესო გაკვეთილი ამ ომისა.—ფიქრობენ, ნოემბრის დასაწყისს იაპონიის მთავრობა ახალს სესხს 80 მილიონი იენისას კიდევ გამოსცემო. პირობა ჯერ არ არის გამოცხადებული, მაგრამ იმასთანავე იქნება, როგორც უკანასკნელის სესხისა.

**ჩიფუ**, 29 აგვისტო. (რეიტერი). «ნოვი კრაიში» დაწვრილებითი ცნობებია ზარბაზნის სროლისა და შეტაკებისა პორტ-არტურთან. 29 აგვისტოს ყუმბარებს დაუნგრევია სოფელი პალიჯუანი, სოფელი ჩალიძეც დანგრეულია. რუსის ზარბაზნები «რედუტ სკალისტიდან» მუდამ ესროდენ იაპონელებს ყუმბარებსა. 22 აგვისტოს ერთმა იაპონელმა მიატოვა რედუტი, უნდოდა კედელი აეფეთქებინა, ის თამამად წავიდა, ორი ყუთი ეჭირა ხელში, რუსებმა ახლო მოუშვეს, მერე კი მოჰკლეს. აღმოჩნდა, რომ ყუთები ლიდიტით იყო გავსებული.

**ვენა**. ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მოვიდა აქ და იმპერატორს ინახულებს.

**ბრისბენი** (ავსტრალია). (რეიტერი). როგორც გერმანიის ახალ გვინეიდან ამბავი მოვიდა, იქაურები დაეცნენ კათოლიკების მისიას: 10 თეთრ კანიანია მოკლული, ამათში 5 და სათნოებისა და ორი მღვდელი. დაიჭირეს 36 მკვიდრი, იმათგან 16 სიკვდილით დასაჯეს დანაშაულობისათვის: იმათ უნდოდათ მთლად თეთრკანიანების დახოცვა, მაგრამ ვერ შეასრულეს.

**სან-ფრანცისკო**. 30 აგვისტო. (რეიტ.). „ლენის“ აფიცერი ამბობს, გემი მოვიდა სან-ფრანცისკოს რუსის კონსულის მოწერილობისაგამო. იაპონიის გემთა დირექტორმა მისწერა დეპეშა იოკოგამს, დარჩეს გემი «ამერიკამარუ» «ლენის» წასვლამდე. ადმირალმა გუდლიხმა, რომელიც შეერთებულ შტატების წყნარ-ოკეანის ესკადრს უფროსობს, შეატყობინა ვაშინგტონში «ლენას» მისვლა და დაუყოვნებლივ მიიღო ბრძანება, დარჩეს ესკადრით სან-ფრანცისკოში—«ლენას» წასვლამდეო. ამბობენ, მთავრობა დანიშნავს ვადას გემის შეკეთებისათვის.

**მუკდენი**, 28 აგვისტო. (რეიტერი). რუსები მიდიან ტელინისაკენ. სამხედრო მდგომარეობა უხეიროდ არ ჩაითვლება. თუმცა უკან დაიხიეს, მაგრამ ჯარი მხნედ არის.

**ტოკიო**, 30 აგვისტო. (რეიტერი) რიამამ მოახსენა, რუსის ძლიერი ცხენოსანი ჯარი გაჩნდა პანტაიძის ახლო იანტაის აღმოსავლეთად. ნაწილი რუსის კავალერიისა არტილერიით არის რკინის გზის გაყოლებაზე იანტაისა და მუკდენს

---

ნერთის მისალმების შემდგომ წამოვედით სულთანიას მუზიკის დაკვრით.

როდესაც ელჩის კარავს დაუახლოვდით, მაშინვე ერთს დიდს და მაღალს სვეტზედ, რომელიც განგებ დარჭმული იყო ჩვენგან, აუშვეს იელქანი იმპერატორის ღერბით- კარავში ეწყო ნუღლი და შაქარლამები. ერთი მოხელე შაჰისა იქ ელოდა ელჩსა.

შაჰის სახელით მოულოცა მოსვლა და წარვიდა. მეორე დღეს ელჩი წარვიდა ელჩ მირზა-შეფის სანახავად, შემდგომად თვითონ მირზა შეფი მოვიდა ელჩის სანახავად, და ამ დღეებმა ასე გაიარეს. მერმე ალექსეი პეტროვიჩმა სოკოლოვი გაგზავნა მირზა შეფისთან ღრამატის წასაღებათ. ამ ცერემონიაში ვიყავით მე, პოპოვი და ხუდაბაშოვი. მირზა შეფი წარმოდგა ფეხზედ და ისე მიიღო ღრამატა. ჩვენც დავსხედით სკამებზედ, მოგვიტანეს ჩაი, დავლიეთ, ყალიონები მოვწიეთ და წამოვედით.

აუდიაცია მისის იმპერატორებითის დიდებულების ელჩისა მისის დიდებულების სპარსეთის შაჰთან ივლისის 31 დღესა.

მეთერთმეტე საათზე დილისას მოვიდა ეშიკალასბაში შაჰისა მაჰმუდ ხანი და ელჩი მიიწვია. ჩვენც რადგან მზათ ვიყავით სულთანიად, როგორც ჩვენი ფორმა არის, შარფით და თეთრის პანტალონებით წავედით. პირველად იყვნენ ყაზახები, მერმე მუზიკანთები, შემდგომად ღირნადირები, მერმე ფელთიელერი, ამათ მოსდევდნენ ორნი კალელიის კურიერნი. ამათ შემდგომად თორმეტი ლაქია ლივრეებით ჩაცმულნი ქვევითნი, მერმე თვითონ ალექსი პეტროვიჩი და ამას უკან ჩვენ სულ ერთიანად. ჩვენს შემდგომად მოდიოდნენ კიდევ ყაზახები. ელჩის კარვიდგან სასახლის კარებამდინ იდგნენ ორ პირად რეგულნი სპარსეთის ჯანბაზები. ამათ შუა ზემოხსენებულის დაწყობით მივედით სასახლის კარავში, სადაც ალლაიარ ხანი პირველი ეშიკალასბაში ელოდა ელჩსა. აქ პატარა ხანს დავსხედით, ჩაი დავლიეთ, ყალიონი მოვწიეთ, პირველად ელჩი ორის სოვეტნიკით წაიყვანეს შაჰთან. სოკოლოვს ეჭირა ვერცხლის სინი, რომელზედაც იდვა ჩვენი ხელმწიფის ღრამატა შაჰთან.

წარდგენა ალექსეი პეტროვიჩისა იყო ესრედ, ვითარცა შემდგომად სწერია. ალლაიარხანი შეუძღვა ელჩსა, რადგან შაჰი კარავში იყო, ამ მიზეზით დიდრონი თეჯირები ჰქონდათ გავლებილი, რომელსაც სარაფარდას უწოდებენ.

ფათალი შაჰი იჯდა კარავში ტახტზედ, რომელიც იყო ძვირფასის ქვებით მოჭედილი. თავზედ ეხურა ძვირფასი გვირგვინი. ტახტის გვერდზედ იყო გაკეთებული შაჰის დასაჯდომი ალაგი. მუნ იდვა მუთაქა, დიდი მარგალიტით ასხმული. წინ იდვა ერთი ყალიონი ძვირფასის თვლებით მოჭედილი.

შაჰის ახლდნენ თხუთმეტი შაზადანი, აბაზ მირზა არ იყო, ამიტომ რომ ის თავრიზიდგან არ ყოფილა დაბრუნებული. ერთს მოხელეს ეჭირა სხვა გვირგვინი უძვირფასესი, და სხვა სამს მოხელეს: კმალი, ფარი და ხანჯალი, ძვირფასის ქვებით მოჭედილი. ელჩს ახლდნენ მხოლოდ სოკოლოვი და ნეღრი; როდესაც შაჰის სარაფარდის შევიდნენ, თავი დაუკრეს. იქ ალლაიარხანმა ქოშები გაიხადა და მაღალის ჴმით დაიძახა: «მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის ელჩი ალექსეი პეტროვიჩი ერმოლოვი ღენერალ-ლეიტენანტი წარმოდგენილ არს წინაშე თქვენის უდიდებულესობისა.» შაჰმა დაუძახა: «ხოშგელდი».

დაუკრეს თავი და შევიდნენ კარავში, სადაც შაჰი ბრძანდებოდა ტახტზედ გვირგვინით. ალლაიარხანიც თან შეჰყვა, ეგრეთვე სოკოლოვი და ნეღრი. როდესაც ალექსეი პეტროვიჩი შევიდა კარავში და თავი დაუკრა, მაშინვე მოახსენა შემდგომი შესხმა, რომელეც მერმე ნეღრიმ თათრულად შაჰს წაუკითხა.

«როსსიის იმპერატორსა, დიდსა ხელმწიფესა ჩემსა თანასწორ მტკიცესა კანონთა და გრძნობათა შინა თვისთა პატივცემულსა განსხვავებულთა თვისებათა თქვენის დიდებულებისათა, და მოყვარესა დიდებისა თქვენისასა ჰსურს, რათამცა აწმყო მშვიდობა სამარადისოდ განამტკიცოს სპარსეთსა შინა მეფობისა თქვენისა მიერ განბედნიერებულსა. მე მაქვს ბედნიერება ღირს ყოფად ამა რწმუნებისა, რათამცა წარმოვუდგინო თქვენსა დიდებულებასა სურვილი ჩემის ჴელმწიფისა წრფელობასა შინა მისსა წინაშე სპარსეთისა, ვხადი ღმერთსა მოწმად».

ამის შემდგომ აიღო ღრამატა სინიდგან და თვითონ მიუტანა შაჰსა, მჯდომარესა ტახტსა ზედა, რომელმანცა გამოართვა, ჴელმწიფე ალექსანდრე მოიკითხა და დაიდვა ღრამატა ტახტზედა. შაჰმა ბრძანა სკამის მოღება, რომელზედაც დაჯდა ერმოლოვი, მაგრამ როდესაც შაჰი ელაპარაკებოდა, ელჩი წამოდგებოდა ხოლმე.

შემდგომად ჩვენ შეგვიყვანეს შაჰთან, ჩვენც თავი დაუკარით ორჯერ, მერმე ჩვენმა წინამძღოლმა მაჰმედ ხან ეშიკალასბაშმან ქოშები გაიხადა და შაის მაღალის ხმით დაუძახა: რუსეთის იმპერატორის ელჩის აფიცრები წარმოდგენილ არიან წინაშე თქვენის დიდებულებისა, შაჰმა ხოშგელდუნ შემოგვძახა, დაუკარით თავი და კარავში შევედით.

შაჰმა უბრძანა ალექსეი პეტროვიჩს, თქვენს სვიტაში რუსეთის კარგის გვარის შვილები არიან და პოლკოვნიკები, ესენი უნდა მე მაცნოო. მაშინვე ელჩი ჩამოვიდა ძირს და თვითო-თვითო სახელდობ წარგვადგინა. მისმა დიდებულებამ ჩვენ ყველას ცალ-ცალკე ხოშგელდუნ და მადნჩალ გვიბოძა. მერმე ელჩს უთხრა, რადგანაც ამ აფიცრებს ამდენი ჯაფა გუწევიათ და ჩემს სანახავად მოსულან, როდესაც დაბრუნდებიან, თქვენმა ხელმწიფემ ამათ უნდა ჩინები მოუმატოსო. ცოტა დავყავით და ისევ ორ გზით თავის დაკვრით წამოველით.

როდესაც შაჰის მივართვით ჩვენის ხელმწიფის საჩუქრები, ძალიან იამა და მადლობელი იყო. თვითონ ჩამოვიდა კარავში ბაირამის დღეს და თითო-თითო გაშინჯა, პირველად სამი დიდრონი სარკეები, რომელთაც შაჰი გააკვირვეს და რამდენჯერმე «ბახ-ბახ» დაიძახა. მეორე გაშინჯა ოქროს სპილო, რომელიც საათზე არის გაკეთებული, და როდესაც მომართვენ, დაიწყებს ზარების კვრას და თვალებისას, ყურებისას, ხორთუმისას და კუდის თამაშობას. ზედ სპილოზედაც არის ერთი ოქროს გუმბეთი გაკეთებული და ზედ ჩარხი ტრიალებს. ამან მთელი ყიზილბაში გააშტერა. შემდგომად გაშინჯა ოქროს ყალიონი საუცხოოთ გაკეთებული. ბროლის ჭურჭლები თავისის ტაშტით და ალთაფებით, ბროლის დიდი პოდნოსი. სხვა-და-სხვა ყალიონები, ხანჯალი ბრილიანტით მოჭედილი, ჯილა და სხვა მრავალი ფარჩა და მაუდი იყვნენ მართლად გასაშტერებელად ყიზილბაშებისა.

მღვდელი რაჟდენ აფციაური.

შუა. რუსები მხოლოდ ჯერ იმითი კმაყოფილდებიან, რომ იაპონელებთან ახლო სდგანან.

**ნიუ-იორკი.** (რეიტერი). გამოქვეყნდა პრეზიდენტ რუზველტის წერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ის პრეზიდენტობის კანდიდატობას კისრულობს.

**ვიკოპორიხია.** (კონადა). (რეიტერი) ვინკუვეს ახლო კანადას რკინის გზის მატარებელს დაესხნენ 6 შეიარაღებული ავაზაკი. ვაგონი ჩასხნეს. ავაზაკებმა ხელთ იგდეს 7 ათასი დოლარი ფული. პოლიციის ძლიერი რაზმი გამოეკიდა იმათ.

31 აგვისტო.

**ვაშინგტონი.** 30 აგვისტო (რეიტერი). საზღვაო საქმეთა სახელმწიფო მდივანმა მორტონმა დეპეშით უბძანა ადმირალ გუდრიჩს, შეაჩერე ესკადრა და გამოარკვიე «ლენის» კამანდირის განზრახვანიო.

**მოსკოვი.** აკართხეს ახალი შენობა უნივერსიტეტისა იურიდიული და ფიზიკო-მათემატიკურის ფაკულტეტების აუდიტორიებით.—ბირჟის საზოგადოებამ გამართა ორი ახალი სასწავლებელი—ქალების კომერციული სასწავლებელი იმპერატორ ნიკოლოზ II სახელობაზე და ვაჟების სავაჭრო სკოლა იმპერატორ ალექსანდრე III სახელზე.

**იალტა.** აკურთხეს და აღმართეს ძეგლი იმპერატორ ალექსანდრე II-სა.

**სტამბოლი.** (ბიურო). უმთავრესმა ინსპექტორმა ხილმი-ფაშამ და აგენტებმა გადასდეს წასვლა მონასტრიდან უსკიუბში 2 სეკდემბრისათვის.

31 აგვისტო.

**ტოკიო,** 29 აგვისტო, (რეიტერი). ტოკიოში თან და თან ძლიერდება უკმაყოფილება იმის გამო, რომ პორტ-არტური ვერ აიღეს და იერიშმა ფუჭად ჩაუარათ. როგორც იაპონიაში დაბრუნებული ავადმყოფნი დაჭრილნი ამბობენ, იაპონიის ჯარი პორტ-არტურთან ბევრს გაჭირვებას ითმენს. ბევრი ჯარის კაცი დაბრმავდა, რადგანაც რუსები სანგრებიდან კირს აყრიან თვალებში ხელჩართული ბრძოლის დროს. რადგან რუსები განუწყვეტლივ ესვრიან ზარბაზანსა, იაპონელნი ვერ ასწრობენ დახოცილთა დამარხვასა. ამიტომ ბევრი რჩება და ამიტომ სენის გაჩენის შიში აქვთ. იაპონელებს საკმაოდ აქვთ სურსათი, მაგრამ ბევრი ხდებიან ავად წმინდა წყლის უქონლობითა.

**ტოკიო,** 30 აგვისტო (რეიტერი) დღეს მიიღეს დაწვრილებითი ცნობები კუროკის მოქმედებისა 15-დან 23 აგვისტომდე. ამ დღეებში ჯარი განუწყვეტლივ იბრძოდა და 24 საათის განმავლობაში უჭმელ-უსმელნი იყვნენ, რადგან 20 აგვისტოს რუსებმა ყველა გზები შეუკრეს; ჯარს მხოლოდ ცოტა გამხმარი ბრინჯი ჰქონდა. 20 აგვისტოს საღამოთი იაპონელებმა რუსების იერიში მოიგერეს, დაიჭირეს მთელი ლარი სერები იანტაის მადნებთან. შუადღის შემდეგ იაპონელებმა 16 ზარბაზნით იერიში მიიტანეს რუსებზე. მაშველი ჯარიც მოუვიდათ და გაგზავნეს ერთი გუნდი პენტაიძს, აქედან წაიწიეს დასავლეთად. 22 აგვისტოს გუნდმა დაიჭირა გუმენჩეშაუ. გულმა დაიპირა სიმაღლეები დასავლეთად ხეილიტაიდან აქ ერთობ ჯგუფად ესროდენ რუსები და დიდი ზარალი ნახეს, მაგრამ პოზიცია კი შეინარჩუნეს. იაპონიის არტილერიამ, რომელიც ცუდს ადგილს იყო, საკმაო ზარალი ნახა. 20 აგვისტოს საღამოთი სამმა რუსის ბრიგადამ იერიში მიიტანა მარჯვენა ფრთაზე და და გულზე, მაგრამ მოიგერეს, რადგან დროზედ მოუვიდათ მაშველი ჯარი.

**ტოკიო.** 30 აგვისტო. (ბერლინით). იაპონიაში მართებლობის საწინააღმდეგო მოძრაობაა, ამიტომ მთავრობა პორტ-არტურის ამბებს აღარ აცხადებს. იაპონიიდან ყოველ დღე იგზავნება ჯარები, განსაკუთრებით ჩრდილო კუნძულ იეზოდან, რადგანაც იქაური მკვიდრი უფრო გამძლეა ზამთარში ბრძოლისთვის.

**ტოკიო.** (ბერლინით). იაპონიის ჯარმა დროებით შეისვენა, რომ შეემზადონ კუროპატკინზე საბოლოვო იერიშის მისატანად. ოიამას იმედი აქვს, რომ უკანასკნელად შეებრძოლება რუსებს, მინამ ისინი ხარბინს მოვიდოდნენ. დიდი ჯარი მიდის ხიროშიმიდან ნიუ ჯუანს, საიდანაც ლიაოიანს გაგზავნიან. ამ ჟამად ოიამა ლიაოიანშია ვაკე მთაზე მუკდენიდან აღმოსავლეთად, სხვა ჯარები კი მუკდენის სამხრეთად დგანან. კუროპატკინი ტელინის სიმაგრეების დათვალიერების შემდეგ მუკდენს მოვიდა.

**თიანძინი.** (რეიტერი) ამბობენ, გენერალ ლინევიჩმა 50 ათასი კაცით დაიჭირა ჩრდილო აღმოსავლეთი კორეასი და გადაუჭრა გზა კუროკის ლაშქართან შეერთებასა.

**სან-სებასტიანი.** (ბერლინით). ისპანიის მთავრობამ, ინგლისის ჩაგონებით, აცნობა, რომ რუსის ბალტიის ესკადრას ნებას ვერ მივცემთ, რომ 24 საათზე მეტი გაჩერდეს კორუნში.

**გოუზანძი.** (რეიტერი) იაპონელნი გულ-ნაკლულად არიან, რომ ვერ შეასრულეს თვისი გეგმა ლიაოიანთან ბრძოლისა, რომელსაც სახეში ჰქონდა რუსის ლაშქრის სრული დამხობა. იაპონელნი ელიან ჯარებსა და სურსათსა. ჩრდილოეთისაკენ მთელი გზები მოდებულია ურმებითა, რომელთაც მიაქვთ ხორბალი და სურსათი. ოიამამ უმთავრესი სადგომი ლიაოიანში დაიმკვიდრა, რომელიც იაპონიის ქალაქად კეთდება. ყველაფერი უჩვენებს, რომ იაპონელებს სურთ ებრძოლონ რუსებს იმათს ნიადაგზე; რადგანაც რუსების ჯარებს მისვლის დრო უნდა, ამიტომ ბრძოლა უეჭველია მუკდენის ჩრდილოეთად იქნება. იაპონელნი ფიქრობენ, რომ რუსები ხმარობდენ ტყვიას დუმდუმსა; ლიაოიანში რავდენიმე ამისთანა ტყვია იპოვეს. მაგრამ ნამდვილი საბუთი კი არა აქვთ. რუსებმა რკინის გზის პირად განცხადება გამოჰკიდეს, რომელიც ჩინელებს უკრძალავს გზის გაფუჭებასა და უქადის სასჯელსა.

დროებით რედაქტორი **ზრ. ქიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

27 აგვისტოს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,95 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7$^{1}/_{2}$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91$^{1}/_{8}$ მყიდ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 88$^{7}/_{8}$ ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 382$^{1}/_{2}$ წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 294$^{3}/_{4}$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 252 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4$^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4$^{1}/_{2}$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი





მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. კ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(0 6—12)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ კამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




**ქვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა** აცხადებს, რომ დაიკარგა პაიები ამ ამხანაგობისა, შემდეგი №№: 403, 439, 440, 460, 457, 417, 468, 452, 459, 407, 410, 451, 450, 449, 447, 448, 458, 454, 456, 423, 418, 421, 437, 432, 431, 430, 425, 424, 469, 473, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 455, 452, 419, 404, 405 და 475.

მნახველთ ვთხოვთ წარმოადგინონ პაიები ათის დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პაიები გაბათილებული იქნება.

(3—2)




ვერცხლისა




ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

## ა. ა. თუთაევისა

თხუთმეტ ამ თვის ივლისიდამ შემოკვეთით ვამზადებ რკინის სახურავებისთვის და იატაკებისთვის (ДЛЯ ПОЛОВЪ) ყველა სახის ფერს ზეთით გაღესილს საღებავებს (краски). ვპირდები ყველას ჩემ ნაცნობს და უცნობს, რომ საღებავები იქნება უტყუარი და მაღალის ღირსების მასალით შეზავებული *), «ბელილა» და სხვა საღებავებიც გვექნება დამზადებული; ვინც მოისურვებს, ხელოსნებსაც გაუგზავნი, როგორც ტფილისში ისე სხვა ადგილას. მე თითონაც დაუხედამ საქმეს, თუ საჭირო იქნება. აგრეთვე ვიღებ სახლების აშენებას, მყავს ყველანაირი ხელოსნები, ეკკლესიის სახურავებისთვის სამღვდელოებას დავუთმობ პრეისკურანტის ფასებზედ ფუთი მანეთ ნაკლებ, საქონელი ფასდადებითაც გაიგზავნება 50% ბეის მიღებით. ჩემი ადრესი: ტფილისს, ადოლფ თუთაევი, ელისაბედის ქუჩა, დიდუბეში, საკუთარ სახლებში.

*) რადგანაც საღებავები ძნელი საცნობია და წასმის შემდეგ მალე ფუჭდება, ამისათვის მაღალის ღირსების მასალით შეზავებული საღებავი ერთი ხუთად მეტს გასძლებს. (20—18)

ქალაქი იურევი, ლიფლიანდიის გუბერნიაში.

## კერძო სავაჟო სასწავლებელი I რიგ. გუგო ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასითა და **პანსიონით.**

ამზადებენ შეგირდებს სხვა სასწავლებლებში შესასვლელად, უმაღლეს სასწავლებლებში ეგზამენების დასაჭერად და სამხედრო სამსახურისათვის. შეგირდები მიიღებიან ყოველ დროს, სწავლების ლის პირველსაცა და მეორე ნახევარსაც. წლოვანება არ აბრკოლებს შეგირდის მიღებას. ფასი სწავლისა და შენახვისათვის 110 მ. ნახევარს წელიწადში. ძმებისათვის ფასი ნაკლებია. დაიწყება სწავლა 16 მარიამობისთვეს 1904 წ. არზის შემოტანა შეიძლება ყოველ დროს. უფრო დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება პირადად და წერილობით მიიღოს მსურველმა ქ. იურიევში (ლიფლ. გუბ.), საკუთარ სახლში, კონნაია ქუჩა, № 2.

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

## კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

და რეზინის სხვა საქონლისათვის

## უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს

## რუსეთ-ამერიკის

**რეზინის მანუფაქტურისას**

**ს.-პეტერბურგში,**

დაარსებულს **1860** წელს.




**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოვებს სავაჭრო სახლი

## „ლეოპ ოლდ ნიკშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისსა** და ტაშკენტში.

(60—43).